

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი

ნდ N2-0403-G

თბილისი


2019

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი

ნდ N2-0403-G

დამტკიცებულია



წარმოდგენილია

ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ

მენეჯერი

მ. მახარაშვილი

15.07.2019 წ.

წინასიტყვაობა

„ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (შემდეგში „პროგრამა“) მომზადებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯის **Natali Academy-ის** (შემდეგში „Natali Academy“/“აკადემია“) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ (ბრძ. №01 04.01.2019) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „**თმისა და სილამაზის მომსახურება/Hair and Beauty Services**“ (10119-პ) საფუძველზე.

დამტკიცებულია Natali Academy-ის დირექტორის მიერ.

პროგრამის ხელმძღვანელი - ინესა ბელოვა, Natali Group, წამყვანი სპეციალისტი.

პროგრამის პერიოდული შემოწმება წარმოებს აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ, რომელიც არ აღემატება 12 თვეს.

საკანონმდებლო მოთხოვნების ცვლილებების, იმ დოკუმენტებში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, რომელთა დაყრდნობითაც შემუშავდა პროგრამა, ასევე პროგრამის პერიოდული შეფასების გათვალისწინებით დოკუმენტში შესაძლებელია ცვლილების ან დამატების შეტანა. დოკუმენტში ცვლილების შეტანის აუცილებლობა განისაზღვრება ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ან/და ცვლილების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

შინაარსი

წინასიტყვაობა	3
1. მისანიჭებელი კვალიფიკაცია	5
2. პროგრამის მიზანი	5
3. დაშვების წინაპირობა	5
4. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები	5
5. პროგრამის სტრუქტურა, მოცულობა, მოდულები	6
6. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები	8
7. სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება	8
8. კვალიფიკაციის მინიჭება	10
9. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების თავისებურებები	10
დანართების ნუსხა	11
პროცედურის პერიოდული შემოწმების აღრიცხვის ფურცელი	12
დოკუმენტში ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი	13
პერსონალის დოკუმენტთან გაცნობის ფურცელი	14
შეთანხმების ფურცელი	15

1. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ინგლისურ ენაზე - Basic Vocational Qualification in Hair and Beauty Services¹

2. პროგრამის მიზანი

პროფესია მჭიდროდაა დაკავშირებული მოდასთან, მის ტენდენციებთან, სწორედ ამიტომ ის ბაზარზე ერთ-ერთი მოთხოვნადი პროფესიაა და მოითხოვს გემოვნებიან, კრეატიულ, დახვეწილ სპეციალისტებს, რომლებიც ფლობენ მოდის ტენდენციებისა და ფრჩხილის მოვლის თანამედროვე ტექნოლოგიებს. აქედან გამომდინარე, პროგრამის მიზანს წარმოადგენს კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც წარმატებით ფლობენ ფრჩხილის მოვლის პროცედურებსა და ტექნოლოგიებს (მანიკური, პედიკური, ფრჩხილის დეკორატიული გაფორმება და სხვა).

3. დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება²

4. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

თმისა და სილამაზის მომსახურებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი, ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი, შესაძლებელია დასაქმდეს³ სილამაზისა და ესთეტიკის ცენტრებსა და სალონებში, „ნაილ ბარებსა“ და „ნაილ არტ“ ფრჩხილის მოვლის სპეციალიზებულ სალონებში. პირი ასევე შეიძლება იყოს თვითდასაქმებული.

¹ განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCED) მიხედვით დეტალურ სფერო - თმის და სილამაზის მომსახურებები, კოდი 1012

² ფრჩხილის მოვლის ხელოვნება მოითხოვს ხელის ნატივ მოტორიკასა და მოძრაობების კოორდინაციას. დახვეწილ გემოვნებას, ფერთა აღქმის, განსხვავებულ ადამიანებთან ეფექტური კომუნიკაციისა და შრომატევად სამუშაო რეჟიმთან ადაპტირების უნარებს. საქმიანობის სპეციფიკის გათალისწინებით, ხელის მოტორიკის დარღვევების, მხედველობის მკვეთრი დეფექტისა და ფერების შერჩევის ანომალიის (დალტონიზმი) მქონე პირთათვის პროფესიაში შესვლა არ არის რეკომენდებული.

³ დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდები: 5141; 5142;

ეროვნული კლასიფიკატორის - (ეკონომიკური საახეები) კოდები: 96.02.; 96.02.0

5. პროგრამის სტრუქტურა, მოცულობა, მოდულები

პროგრამა „ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი“ მოიცავს:

- 4 ზოგად მოდულს - ჯამური მოცულობით -10 კრედიტი;
- 7 საერთო პროფესიულ მოდულს - ჯამური მოცულობით 22 კრედიტი;
- 5 დარგობრივ მოდულს - ჯამური მოცულობით 18 კრედიტი.

კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 50 კრედიტი;

არაქართულენოვანი კონტინგენტისთვის პროგრამა ითალისწინებს ქართული ენის სწავლებას (მოდული „ქართული ენა A2“, მოცულობა 15 კრედიტი), მხოლოდ იმ პირთათვის რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია.

პირს, შესაძლებლობა აქვს ქართული ენის ფლობის კომპეტენცია დაადასტუროს თუ:

- ა) წინმსწრები განათლება მიღებული აქვს ქართულ ენაზე და წარმოადგენს შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტაციას;
- ბ) გავლილი აქვს ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამა და წარმოადგენს შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტაციას;
- გ) სწავლის დაწყებამდე, წარმატებით ჩააბარებს დაწესებულებაში ქართული ენის გამოცდას/ტესტირებას, რის საფუძველზეც გაიცემა ქართული ენის ფლობის შესაბამისი დონის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ქართული ენის ფლობის კომპეტენციის ვერ დადასტურების შემთხვევაში, პირი ვალდებულია გაიაროს ქართული ენის მოდული/მოდულები. მხოლოდ მისი წარმატებით დაძლევის შემდეგაა პირი უფლებამოსილი განაგრძოს სწავლა პროგრამაზე. ამ შემთხვევაში პროგრამის მოცულობა შეადგენს 65 კრედიტს.

პროგრამის ხანგრძლივობაა 38 კვირა, ხოლო ქართული ენის მოდულის გავლის შემთხვევაში - 50 კვირა.

ფრჩხილის მოვლის სპეციალისტის პროგრამის მოდულები:

№	მოდულის დასახელება	კრედიტი	საიდენტიფიკაციო ნომერი
<u>ზოგადი მოდულები</u>			
1.	მეწარმეობა 1	2	0410003
2.	სამოქალაქო განათლება	2	0110004
3.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3	0610003
4.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3	0030104
<u>სულ</u>		<u>10</u>	
<u>საერთო პროფესიული/დარგობრივი მოდულები</u>			
№	მოდულის დასახელება	კრედიტი	
1.	სილამაზის მომსახურების ობიექტების ორგანიზება	3	1011905
2.	მარკეტინგი და გაყიდვები	2	1011903
3.	ანგარიშსწორება, კალკულაცია და ხარჯთაღრიცხვა სილამაზის მომსახურების ობიექტებზე ⁴	3	1011901
4.	პირველადი გადაუდებელი დახმარება	3	0910117
5.	ფრჩხილის, თმის, კანის ტიპები და დაავადებები	4	1011906
6.	სპეცხატვა და ფერთა თეორია	3	1011907
7.	დარგობრივი ინგლისური ენა	4	1011902
<u>სულ</u>		<u>22</u>	
<u>დარგობრივი მოდულები</u>			
№	მოდულის დასახელება	კრედიტი	
1.	ფრჩხილის დამუშავების ტექნოლოგია	5	1011918
2.	ფრჩხილის დიზაინი	6	1011919
3.	ხელისა და ფეხის სპა პროცედურები	2	1011917
4.	პრაქტიკული პროექტი - ფრჩხილის მომსახურება	1	1011915
5.	საწარმოო პრაქტიკა - ფრჩხილის მომსახურება	4	1011916
<u>სულ</u>		<u>18</u>	

⁴დაწესებულების დოკუმენტებში დასაშვებია მოდულის „ანგარიშსწორება, კალკულაცია და ხარჯთაღრიცხვა სილამაზის მომსახურების ობიექტებზე“ დასახელების პარალელურად გამოყენებული იქნეს მისი შემოკლებული ფორმა - „კალკულაცია“

6. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამის სწავლის შედეგები

ფრჩხილის მომსახურების პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. დაამუშაოს ხელისა და ფეხის ფრჩხილი
2. დაამუშაოს ფეხის ქუსლები, კოჭრები, გარქოვანებული კანი და ნუნები
3. შეასრულოს ფრჩხილების აკრილით და გელით დაგრძელება-გაფორმება
4. შეასრულოს ფრჩხილის გამაგრება აკრილითა და გელით
5. შეასრულოს ფრჩხილების გაფორმება თვლებითა და დამატებითი აქსესუარებით
6. შეასრულოს ფრჩხილის გუაშით, აკრილის საღებავებით მოხატვა
7. შეასრულოს ხელის (მაჯის) და ფეხის (ტერფის) მასაჟი და სპა პროცედურები.

7. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად არაფორმალური განათლებით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურებით დადგენილი შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.

პროფესიული სტუდენტის მიღწევები და ცოდნა ფასდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების გზით. განმავითარებელი შეფასება ხორციელდება როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს აქვს უფლება კიდევ ერთხელ დაადასტუროს სწავლის შედეგი, სასწავლო განრიგით დადგენილ განმეორებითი გამოცდების/დადასტურების პერიოდში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პროფესიული უნარების მიღწევისთვის განმეორებითი შეფასებისთვის დადგენილი დრო არასაკმარისია. ასეთ შემთხვევაში პირი ვალდებულია კომპეტენციის მიღწევისთვის გაიაროს მოდული მომდევნო ნაკადთან ან ინდივიდუალური გეგმის საფუძველზე.

კვალიფიკაციის მინიჭებისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოდულების „პრაქტიკული პროექტი-ფრჩხილის მომსახურება“ და „საწარმოო პრაქტიკა-ფრჩხილის მომსახურება“, რომელთა სწავლება ხორციელდება პროგრამის მიწურულს. აღნიშნული მოდულების სწავლის შედეგების დადასტურება წარმოებს ამისთვის სპეციალურად შექმნილ კომისიასთან. სწავლის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში, შედეგების განმეორებითი შეფასება ხდება მომდევნო ნაკადთან ერთად.

პროგრამის სწავლება და სწავლის შედეგების შეფასება დაგეგმილია ისე, რომ ხელი შეუწყოს საკვანძო კომპეტენციების განვითარებას: *მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*, რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის.

აღნიშნული კომპეტენციებიდან, მშობლიურ ენაზე კომუნიკაციის, კერძოდ ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარის განვითარების მიზნით, პროგრამის ყველა მოდულის შეფასების ინსტრუმენტის მოიცავს მართლწერისა და მართლმეტყველების წესების შეფასებასაც, რაც ითვალისწინებს შემდეგ კომპეტენციებს:

მართლმეტყველება:

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა და ა.შ.).

მართლწერა:

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

შეფასების მეთოდი/მეთოდები, შეფასების პროცესის დამატებითი მოთხოვნები და ინფორმაცია მოცემულია მოდულებში, ხოლო დეტალურად - შეფასების ინსტრუმენტებში.

8. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

კვალიფიკაციის მინიჭებისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოდულების: „საწარმოო პრაქტიკა - ფრჩხილის მომსახურება“ და „პრაქტიკული პროექტი - ფრჩხილის მომსახურება“ განმსაზღვრელი შეფასებები, რომლებიც ტარდება ერთდროულად, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ კომისიასთან. კომისიის წევრი შეიძლება იყოს პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამისი მიმართულების ინსტრუქტორი/პროფესიული განათლების მასწავლებელი, მოწვეული სპეციალისტი/ექსპერტი, დამსაქმებელი, აკადემიის ადმინტრაციის წარმომადგენელი. პროფესიული სტუდენტი, ვალდებულია, კომისიასთან მოახდინოს საკუთარი პროექტის შესრულება/განხორციელება და შესაბამისი პროფესიული უნარების დემონსტრირება, ასევე მოდულების შედეგების დადასტურება მოიცავს ანგარიშის პრეზენტაციას განვლილი საწარმოო პრაქტიკის შესახებ.

იმ შემთხვევაში თუ პროგრამა, რომლის მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

9. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების თავისებურებები

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, შშმ და სსმ პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების დაგროვების საფუძველზე.

8. დანართების ნუსხა

1.	დანართი №1	სასწავლო გეგმა-კალენდარი
2.	დანართი №2	სასწავლო გეგმა-კალენდარი არაქართულენოვანი კონტინგენტისთვის
3.	დანართი №3	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის „ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი“ ადამიანური რესურსით უზრუნველყოფის შესახებ
4.	დანართი №4	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის „ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი“ მატერიალური რესურსით უზრუნველყოფის შესახებ
5.	დანართი N5	მოდული „ქართული ენა A1“
6.	დანართი N6	ზოგადი მოდული „მეწარმეობა 1“
7.	დანართი N7	ზოგადი მოდული „სამოქალაქო განათლება“
8.	დანართი N8	ზოგადი მოდული „ინფორმაციული წიგნიერება 1“
9.	დანართი N9	ზოგადი მოდული „ინტერპერსონალური კომუნიკაცია“
10.	დანართი N10	საერთო პროფესიული მოდული „სილამაზის მომსახურების ობიექტების ორგანიზება“
11.	დანართი N11	საერთო პროფესიული მოდული „მარკეტინგი და გაყიდვები“
12.	დანართი N12	საერთო პროფესიული მოდული „ანგარიშსწორება, კალკულაცია და ხარჯთაღრიცხვა სილამაზის მომსახურების ობიექტებზე“
13.	დანართი N13	საერთო პროფესიული მოდული „პირველადი გადაუდებელი დახმარება“
14.	დანართი N14	საერთო პროფესიული მოდული „ფრჩხილის, თმის, კანის ტიპები და დაავადებები“
15.	დანართი N15	საერთო პროფესიული მოდული „სპეცხატვა და ფერთა თეორია“
16.	დანართი N16	საერთო პროფესიული მოდული „დარგობრივი ინგლისური ენა“
17.	დანართი N17	დარგობრივი მოდული „ფრჩხილის დამუშავების ტექნოლოგია“
18.	დანართი N18	დარგობრივი მოდული „ფრჩხილის დიზაინი“
19.	დანართი N19	დარგობრივი მოდული „ხელისა და ფეხის სპა პროცედურები“
20.	დანართი N20	დარგობრივი მოდული „პრაქტიკული პროექტი - ფრჩხილის მომსახურება“
21.	დანართი N21	დარგობრივი მოდული „საწარმოო პრაქტიკა - ფრჩხილის მომსახურება“

დოკუმენტის პერიოდული შემოწმების აღრიცხვის ფურცელი

№	პერიოდული შემოწმების თარიღი	შემოწმებლის გვარი, სახელი, თანამდებობა	ხელმოწერა	ცვლილებას ექვემდებარება პუნქტები

დოკუმენტის ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

N	ცვლილების საფუძველი	ცვლილების დამტკიცების თარიღი	შეცვლილი ფურცლები	ცვლილებაზე პასუხისმგებელი პირის ხელწერა

პერსონალის დოკუმენტთან გაცნობის დამადასტურებელი ფურცელი

გვარი, სახელი	თანმდებობა	გაცნობის ვადა	ხელმოწერა	გაცნობის თარიღი

შეთანხმების ფურცელი

დოკუმენტის დასახელება:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
„ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი“

დოკუმენტის შემმუშავებელი სტრუქტურული ერთეულის დასახელება:

დოკუმენტის შემსრულებელი: სამუშაო ჯგუფი _____

/ხელმოწერა/

შეთანხმება:

№	შეთანხმებული სტრუქტურული ერთეული/ პირი	ხელმოწერა	თარიღი	შეთანხმების ვადა	შენიშვნა კი/არა
1					
2					
3					
4					
5					
6					
7					

დოკუმენტი შესათანხმებლად დააგზავნა

/ხელმოწერა/

/სახელი, გვარი/

/თარიღი/